<u>თარიღი</u>

მალხაზ მაცაბერიძე

12 წელი 2008 წლის აგვისტოს ომიდან

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოუწოდეს რუსეთს საოკუპაციო ჯარების გაყვანისაკენ, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი კიდევ ერთხელ შეეცადა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამართლებას. დასავლეთიდან კი კვლავ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

12 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან. მორიგი წლისთავი კვლავ აღმოჩნდა საერთაშორისო და ადგილობრივი პოლიტიკის ყურადღების ქვეშ. აგვისტოს ომი არ არის ისტორია. ის მხოლოდ ერთი ეპიზოდია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკაში, როდესაც წლების მანძილზე მიმდინარე ჰიბრიდული ომი პირდაპირ ფართომასშტაბიან აგრესიაში გადაიზარდა. რუსეთი იძულებული გახდა პირდაპირი საომარი მოქმედებები რამდენიმე დღეში შეეჩერებინა, თუმცა ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ გააგრძელა - მოსკოვმა არ შეასრულა სამშვიდობო შეთანხმება, არათუ არ გაიყვანა თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, არამედ აგრძელებს მცოცავ ინტერვენციას - ყოველდღიურ რეჟიმში მავთულხლართებს ავლებს და ოკუპაციის ხაზს იქით აქცევს ახალ-ახალ ტერიტორიებს.

„აგვისტოს ომი“ 5 დღე - 2008 წლის 7 აგვისტოდან 13 აგვისტომდე გაგრძელდა. აგვისტოს ომის შესახებ ყოველწლიურად ახალ-ახალ დეტალებს ვგებულობთ, ბევრი რამ კი კვლავაც უცნობი

რჩება. პუტინს არ დაუმალავს, რომ რუსეთი საგულდაგულოდ ემზადებოდა საქართველოსთან ომისთვის. მოსკოვს არ უნდა დაეშვა საქართველოს ნატოში შესვლა, საქართველოზე მასირებული სამხედრო თავდასხმა „მშვიდობისათვის იძულების“ ოპერაციის სახით უნდა დაწყებულიყო და შედეგად უნდა მოყოლოდა ხელისუფლების შეცვლა საქართველოში. ომის დამთავრების პირობად პუტინი ამას მოითხოვდა კიდეც.

საქართველოში შემოჭრილი რუსეთის ჯარები გასცდნენ ე.წ. „კონფლიქტის ზონებს“, დასავლეთ საქართველოში დაიკავეს სამეგრელო და ფოთი, აღმოსავლეთ საქართველოში კი დაიკავეს გორი და თბილისისკენ მოიწევდნენ. საქართველოს დედაქალაქზე შეტევა პუტინმა ვეღარ გაბედა. ჯერ ერთი, საქართველოს ჯარი თბილისის დაცვას აპირებდა და მილიონიანი ქალაქის აღება უზარმაზარ მსხვერპლთან იქნებოდა დაკავშირებული. ამას კი პუტინი არათუ საერთაშორისო საზოგადოებრიობის, არამედ რუსეთის საზოგადოების წინაშეც ვერ გაამართლებდა; მეორეც, მკაცრი იყო ევროკავშირისა და აშშ-ის რეაქცია, რომელიც ომის გაგრძელების შემთხვევაში კიდევ უფრო მკაცრი გახდებოდა.

დასავლეთის ზეწოლამ რუსეთი აიძულა თავისი სამხედრო ნაწილები გაეყვანა საქართველოს იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც არ შედიოდნენ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოური ავტონომიების ფარგლებში. ომის შედეგად რუსეთმა დაამყარა კონტროლი კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონზე. ბუნდოვანი გახდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი.

12 აგვისტოს შეთანხმება მოსკოვს ავალდებულებდა ჯარების გაყვანას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მაგრამ 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ამ ბუტაფორიულ რეჟიმებთან „ხელშეკრულებების“ გაფორმებით დააფიქ-

სირა. თუმცა რუსეთის გამარჯვება ნაწილობრივი იყო - აღმოჩნდა, რომ საქართველოს სრული ოკუპაცია მის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

რუსეთის დღევანდელი ხელისუფალნი, რომელთა შემოქმედებაცაა 2008 წ. აგვისტოს ომი, მრისხანედ აცხადებენ, რომ ომის შედეგები არ გადაისინჯება და საქართველო უნდა შეეგუოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსკოვის მიერ შექმნილ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“. თუმცა საქართველოში არასოდეს იქნება ხელისუფლება, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვას შეურიგდება, რაც არ უნდა სურდეს მოსკოვთან „ურთიერთობის დალაგება“.

მე-12 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე აღნიშნა, რომ „რუსეთმა უნდა შეწყვიტოს დესტაბილიზაციური ქმედებები“ და შეასრულოს „2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“.[1] ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით ვრცელი განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო უწყებამაც. რუსეთს კვლავ მოუწოდეს შეასრულოს 2008 წელს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. ხაზი გაესვა ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციის და ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკას, ასევე აღინიშნა, რომ „რუსეთი აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს საქართველოს წინააღმდეგ“.[2]

---

[1] გიორგი გახარია - რუსეთმა უნდა შეწყვიტოს დესტაბილიზაციური ქმედებები და 2008 წლის "ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება" შეასრულოს - 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612777-giorgi-gaxaria-rusetma-unda-shecqvitos-destabilizaciuri-kmedebebi-da-2008-clis-cecxlis-shecqvetis-shetanxmeba-sheasrulos

[2] საქართველოს საგარეო უწყება რუსეთს მოუწოდებს შეწყვიტოს უკანონო, პროვოკაციული მოქმედებები და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს- 07.08.2020 / 12:24 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612767-

აგვისტოს ომის მე-12 წლისთავს გამოეხმაურნენ საქართველოს მტრებიც და მეგობრებიც. მტრებიდან აგვისტოს ომზე ამჯერად დიმიტრი მედვედევმა ისაუბრა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე იმყოფებოდა. მედვედევმა აგვისტოს ომში რა თქმა უნდა, ტრადიციულად, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულა, რომელსაც „კრიმინალი და ნაძირალა“ უწოდა. საქართველოში რუსეთის არმიის შეჭრა კი „რუსეთის მოქალაქეების დაცვის აუცილებლობით“ ახსნა. თურმე საკითხი შეეხებოდა „ომის წამოწყებას რუსეთის“ წინააღმდეგ“, კიდევ ერთხელ გავიგეთ ისიც, რომ „რუსეთი ყოველთვის იცავს მშვიდობას მეზობელ სახელმწიფოებში“.[3]

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომის მე-12 წლისთავზე მიხეილ სააკაშვილმა ჰააგის სასამართლოში ცნობილი სპეციალისტების მიერ მომზადებული სარეკომენდაციო დასკვნა შეიტანა აგვისტოს ომისა და რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ[4] და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს ასიამოვნოს მოსკოვს და არ ეწინააღმდეგება აგვისტოს ომის რუსულ ვერსიას.

მედვედევის განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთის დღევანდელი მესვეურები არ აპირებენ აგრესიულ პოლიტიკაზე უარის თქმას. ბელორუსი პოლიტოლოგის იგორ ტიშკევიჩის თქმით, რუსეთი უახლოესი წლების განმავლობაში აქტიურად შეეცდება ე. წ. პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი გავლენის სფეროს მკაფიოდ დაფიქსირებას. მისი პროგნოზით, „უახლოესი 3-4 წელი მოსკოვის აგრესიული პოლიტიკის გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის,

sakartvelos-sagareo-ucqeba-rusets-moucodebs-shecqvitos-ukanono-provokaciuli-mokmedebebi-da-shetanxmebit-nakisri-valdebulebebi-sheasrulos

[3] რუსეთმა ნაძირლების ქმედებებს უპასუხა - დიმიტრი მედვედევი 2008 წლის აგვისტოს ომზე - https://www.newposts.ge/?newsid=237363

[4] 2008 წლის აგვისტოს ომი - მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა ჰააგაში დამოუკიდებელი დასკვნა შეიტანეს- 07 Aug, 2020 - https://www.newposts.ge/?newsid=237308

მათ შორის ბალტიის ქვეყნებისათვის, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან, მშვიდობიანი ვერ იქნება“.[5]

რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგარეო მხარდაჭერა. აგვისტოს ომის მე-12 წლისთავი ამ მხარდაჭერის დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითი იყო და ყველა გამოხმაურების ჩამოთვლა შეუძლებელიცაა.

„რუსეთის მიერ წარმოებული ოკუპირებული ტერიტორიების ე. წ. აღიარების პოლიტიკის მარცხი აჩვენებს, რომ საქართველო რუსეთის აგრესიის წინაშე მარტო არ დგას და მას მხარს უჭერენ ძლიერი და ერთგული მეგობრები“, - განაცხადა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა.[6]

აგვისტოს ომის 12 წლისთავზე გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედმა და მომავალმა წევრებმა - 8 ქვეყანამ საქართველოს მხარდამჭერი საერთო განცხადება გაავრცელეს და საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა გამოუცხადეს. რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდეს 12 აგვისტოს და 9 სექტემბრის შეთანხმებების შესრულებისკენ.[7] საქარ-

[5] იგორ ტიშკევიჩი - უახლოესი 3-4 წელი მოსკოვის აგრესიული პოლიტიკის გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის მშვიდობიანი ვერ იქნება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612733-igor-tishkevichi-uaxloesi-3-4-celi-moskovis-agresiuli-politikis-gamo-postsabchota-kveqnebistvis-mshvidobiani-ver-ikneba

[6] ვიოლა ფონ კრამონი - ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. აღიარების პოლიტიკის მარცხი აჩვენებს, რომ საქართველო რუსეთის აგრესიის წინაშე მარტო არ დგას- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612804-viola-pon-kramoni-okupirebuli-teritoriebis-ec-agiarebis-politikis-marcxi-achvenebs-rom-sakartvelo-rusetis-agresiis-cinashe-marto-ar-dgas

[7] გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა აგვისტოს ომის 12 წლისთავზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გაავრცელეს- 06/08/2020 - https://civil.ge/ka/archives/361702

თველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ევროკავშირმაც.[8]

აშშ-ის საელჩომ საქართველოში რუსეთს მოუწოდა უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და შეასრულოს 2008 წლის შეთანხმების პირობები.[9]

ქართული პოლიტიკური სპექტრი, აგვისტოს ომთან მიმართებაში, კვლავაც ერთიანი არაა. „ქართული ოცნების“ ლიდერებს ამჯერად საკაშვილი ომის დაწყებაში არ დაუდანაშაულებიათ, მაგრამ პუტინის თანაბარი პასუხისმგებლობა დააკისრეს იმის გამო, რომ თავიდან ვერ აიცილა რუსეთის აგრესია.

რაც შეეხება დასავლეთზე ორიენტირებულ ოპოზიციას, ის არსებული ხელისუფლების პრორუსულობას უსვავს ხაზს. „პუტინის რუსეთი არის დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მტერი და აქ არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი“, - განაცხადა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ. მისივე თქმით, ივანიშვილის პირობებში საქართველო ვერ დააღწევს თავს საბჭოთა მენტალობას და რუსეთის ორბიტას.[10] წინ არჩევნებია და ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხი ფაქტობრივად ერთ-ერთი უმთავრესი წყალგამყოფია პარტიებს შორის.

---

[8] პიტერ სტანო - ევროკავშირი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სტაბილიზაციისა და მშვიდობიანად მოგვარების ერთგული რჩება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612798-piter-stano-evrokavshiri-ruset-sakartvelos-konpliktis-stabilizaciisa-da-mshvidobianad-mogvarebis-ertguli-rcheba

[9] აშშ - ს საელჩო - მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612760-ashsh-s-saelcho-movucodebt-rusets-ukan-caigos-apxazetisa-da-samxret-osetis-ec-damoukideblobis-agiareba

[10] გიგი უგულავა - ივანიშვილის პირობებში საქართველო ვერ დააღწევს თავს საბჭოთა მენტალობას და რუსეთის ორბიტას- 07.08.2020 / 13:32 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612779-gigi-ugulava-ivanishvilis-pirobebshi-sakartvelo-ver-daagcevs-tavs-sabchota-mentalobas-da-rusetis-orbitas

ლიტერატურის სია

აშშ - ს საელჩო - მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612760-ashsh-s-saelcho-movucodebt-rusets-ukan-caigos-apxazetisa-da-samxret-osetis-ec-damoukideblobis-agiareba

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა აგვისტოს ომის 12 წლისთავზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გაავრცელეს- 06/08/2020 - https://civil.ge/ka/archives/361702

გახარია გიორგი - რუსეთმა უნდა შეწყვიტოს დესტაბილიზაციური ქმედებები და 2008 წლის "ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება" შეასრულოს - 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612777-giorgi-gaxaria-rusetma-unda-shecqvitos-destabilizaciuri-kmedebebi-da-2008-clis-cecxlis-shecqvetis-shetanxmeba-sheasrulos

კრამონი ვიოლა ფონ - ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. აღიარების პოლიტიკის მარცხი აჩვენებს, რომ საქართველო რუსეთის აგრესიის წინაშე მარტო არ დგას- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612804-viola-pon-kramoni-okupirebuli-teritoriebis-ec-agiarebis-politikis-marcxi-achvenebs-rom-sakartvelo-rusetis-agresiis-cinashe-marto-ar-dgas

რუსეთმა ნაძირლების ქმედებებს უპასუხა - დიმიტრი მედვედევი 2008 წლის აგვისტოს ომზე - https://www.newposts.ge/?newsid=237363

საქართველოს საგარეო უწყება რუსეთს მოუწოდებს შეწყვიტოს უკანონო, პროვოკაციული მოქმედებები და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს- 07.08.2020 / 12:24 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612767-sakartvelos-sagareo-ucqeba-rusets-moucodebs-shecqvitos-ukanono-provokaciuli-mokmedebebi-da-shetanxmebit-nakisri-valdebulebebi-sheasrulos

სტანო პიტერ - ევროკავშირი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სტაბილიზაციისა და მშვიდობიანად მოგვარების ერთგული რჩება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612798-piter-stano-evrokavshiri-ruset-sakartvelos-konpliktis-stabilizaciisa-da-mshvidobianad-mogvarebis-ertguli-rcheba

ტიშკევიჩი იგორ - უახლოესი 3-4 წელი მოსკოვის აგრესიული პოლიტიკის გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის მშვიდობიანი ვერ იქნება- 07.08.2020 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612733-igor-tishkevichi-uaxloesi-3-4-celi-moskovis-agresiuli-politikis-gamo-postsabchota-kveqnebistvis-mshvidobiani-ver-ikneba

უგულავა გიგი - ივანიშვილის პირობებში საქართველო ვერ დააღწევს თავს საბჭოთა მენტალობას და რუსეთის ორბიტას- 07.08.2020 / 13:32 - https://www.interpressnews.ge/ka/article/612779-gigi-ugulava-ivanishvilis-pirobebshi-sakartvelo-ver-daagcevs-tavs-sabchota-mentalobas-da-rusetis-orbitas

2008 წლის აგვისტოს ომი - მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა ჰააგაში დამოუკიდებელი დასკვნა შეიტანეს- 07 Aug, 2020 - https://www.newposts.ge/?newsid=237308

Malkhaz Matsaberidze

12 Years Since the August War of 2008

Abstract

The articles deal with the statements made by the Georgian and foreign politicians on the 12th anniversary of the August War of 2008. Representatives of the government of Georgia argued Russia to withdraw occupation forces from the territory of Georgia, whereas the former president of the Russian Federation tried to justify the aggressive politics of Russia. The West still depicted its support to the territorial integrity of Georgia.